## სამაგისტრო პროგრამა „საშემსრულებლო ხელოვნება“

## ცვლილებები 2021-2022 ს.წ. მისაღებ მოთხოვნებში

### სპეციალობა - „სოლო აკადემიური სიმღერა“

შეფასება ხდება ასქულიანი (100) სისტემით; დადებითი შეფასებაა 81-100.

მისაღებ გამოცდაზე შემოქმედებით ტურში აბიტურიენტმა უნდა შეასრულოს:

1. ძველებური არია (მოცარტის გარდა)
2. დიდი გაშლილი იტალიური არია (XIX-XX სს. მუსიკიდან)
3. ქართული ნაწარმოები
4. ნებისმიერი არია, გარდა ზემოთ მითითებულისა (შეიძლება მოცარტის ნაწარმოებებიდან)
5. ორი რომანსი არჩევით

ბაკალავრიატის დამამთავრებელ (საკვალიფიკაციო) გამოცდაზე შესრულებული პროგრამიდან შეიძლება **სამი** ნაწარმოების გამეორება.

### სპეციალობა - „აკადემიური გუნდის დირიჟორობა“

შეფასება ხდება ასქულიანი (100) სისტემით; დადებითი შეფასებაა 81-100.

მისაღები გამოცდა სპეციალობაში ტარდება **ერთ** ტურად.

**საგამოცდო პროგრამის დირიჟორობა ორი როიალის თანხლებით;**
გამოცდაზე უნდა შესრულდეს **სამი** ნაწარმოები (სირთულე III – IV კურსი):

- ორი a cappella ნაწარმოები;
- ერთი ნაწარმოები თანხლებით - საოპერო სცენა, ან საგუნდო პოლიფონია (ნაწილი კანტატიდან, ორატორიიდან ან მესიდან) კონკურსანტის არჩევით;

შესასრულებელი პროგრამის ხანგრძლივობა - არანაკლებ 25-30 წუთისა.

აბიტურიენტს მოეთხოვება:

1. საგამოცდო პროგრამის დირიჟორობა ზეპირად;
2. გასაუბრება საგამოცდო პროგრამის ირგვლივ;
3. a cappella საგუნდო ნაწარმოებების პარტიტურების დაკვრა ფორტეპიანოზე – ნოტებით;

*შენიშვნა: პროგრამაში შესაძლებელია განმეორდეს სამი ნაწარმოები ბაკალავრიატში განვლილი კურსიდან.*